

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 102 (1012) ოთხშაბათი, 19 დეკემბერი, გამოსვლის 80-13 წელი ფაბი 80 კაპ.

„ბრუზია“ გამოამგზავრა ვლადივოსტოკისაკენ ამერიკის ხედისუფლება აუკრძალეს საბჭოთა სპორტსმენებს შერთებულ შტატების ტერიტორიაზე გავლა

სამშობლოსაკენ

11 დეკემბერს, ადრე დილით, მელბურნის პორტში თავი მოიყარა ათასობით სპორტის მოყვარულმა...

თი ნაწილი დაკავებულია მაგდის ჩოგბურთის თამაშით, ნაწილი წიგნების კითხვითაა გაართული...

— რკინიგზელები ყოველმხრივ ეცდებიან, რათა ოლიმპიელების მგზავრობა დედაქალაქამდე შედმოწვევით...

ორი სარკინიგზო შემადგენლობა (თითოში შვიდი კუბიტებული ვაგონი და ორი ვაგონი-არესტორანი) უკვე გამგზავრა ვლადივოსტოკისაკენ...

დილის 8 საათზე ადგილობრივი დროით თბომავალმა „გრუზიამ“ აუშვა ლუზა და კურსი იძლი მშობლიური ქვეყნის ნაპირებისაკენ...

სსრ კავშირის გზათა მინისტრის სამინისტროს იაროსლავის უბნის უფროსმა ანს. პროხოროვმა კარგის-ბონდერტებთან საუბარში განაცხადა:

პირველი სამი აღმოსავლელი ოლიმპიელის სახეობა

Table with 3 columns: I, II, III and 20 rows of names and categories.

ნან. ბ. ეფიშვილისა.

რით პრის გამოვხადებ?

12 დეკემბერს ვაშინგტონში პრესის სააგენტოებმა გამოაქვეყნეს ცნობა იმის შესახებ, რომ ამერიკის ხელისუფლებამ უარი უთხრა საბჭოთა სპორტსმენებს — მელბურნის ოლიმპიური თამაშების მონაწილეებს — სამშობლოში შეერთებული შტატების ტერიტორიაზე გაეღოთ დაბრუნება...

ლოდ გაკვირვებას იწვევს და ირატომ. ამ რამდენიმე წნის წინ საბჭოთა სპორტსმენების ჯგუფმა და სსრ კავშირის ოლიმპიური დელეგაციის სხვა წევრებმა ავსტრალიაში შეერთებული შტატების წარმომადგენელს მიმართეს თხოვნით ამერიკის ავიაკომპანიის საარესო თვითმფრინავით სამშობლოში დაბრუნების შესახებ...

მოწურა 1956 წლის სპორტული სეზონი, რომელიც აღინიშნა ჩვენს ქვეყანაში სპორტული მოძრაობის მძლავრი აღმავლობით...


ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში ვხვდებით 1957 წლის რესპუბლიკური სპორტსმენების ღონისძიებით კალენდარს, რომელშიც გათვალისწინებულია მრავალი საინტერესო ღონისძიების ჩატარება...

1956 წლის სპორტული სეზონი რესპუბლიკის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა გარკვეული წარმატებანი მოიპოვეს სპორტის მასობრივი განვითარების, სპორტსმენთა ტექნიკური მარცხელების ამაღლების საქმეში...

რესპუბლიკის საქალაქო და რაიონული კომიტეტების, სპორტულ საზოგადოებათა საბჭოების, მწვრთნელთა, ფიზკულტურის მასწავლებელთა, საზოგადოებრივი ინსტრუქტორების გადაუდებელი ამოცანა ახალი ენერგიით ატარებენ მშობლიური საბჭოთა სპორტის მასობრივობისათვის, ახალ-ახალ გამარჯვებულთა მოპოვებისათვის.

ლაშქრობა

18 დეკემბერს ბარათაშვილის სახელობის გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდა და სპორტის კათედრის აღმზრდელის სექციის 12 წევრი გაემგზავრა სალაშქროდ...



„დასურული ცა“ ნახტი ამოღებულია გაზ. „პრავდიდან“.



თბილისში დამთავრდა რესპუბლიკური პირველობა მხატვრულ ტანვარჯიშში. ანგარიში იხ. მე-4 გვ.

სპორტულ ღონისძიებათა 1957 წლის რესპუბლიკური კალენდარი

(დასასრული)

6. საქართველოს სსრ პირად-გუნდური პირველობა. სოხუმი. 6-10 ივლისი. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა გუნდები.

ფარიკაობა

1. უძლიერეს მოფარიკავეთა საქავშირო შეჯიბრება. კიევი. 16-22 მარტი. სის მიხედვით.

2. რაიონების, ქალაქების, ასს რესპუბლიკებისა და ოლქის პირველობები. ადგილებზე. 10 მაისამდე. მონაწილეობენ ფიზკულტურის კოლექტივების გუნდები.

3. საქართველოს სსრ პირად-გუნდური პირველობა. თბილისში. 16-24 მაისი. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა ნაკრები გუნდები.

4. მოზარდთა შეჯიბრებები რაიონებში, ქალაქებში, ასს რესპუბლიკებსა და ოლქში, ადგილებზე. 1 ივლისამდე. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა ნაკრები გუნდები.

5. მოზარდთა რესპუბლიკური შეჯიბრება. სოხუმი. 12-19 ივლისი. მონაწილეობენ ნაკრები გუნდები.

6. მოზარდთა საქავშირო შეჯიბრება. ივანოვოში. 16-22 აგვისტო. მონაწილეობს რესპუბლიკის ნაკრები გუნდი

7. სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ცენტრალური საბჭოების პირველობები. გეგმის მიხედვით. სექტემბერი. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები გუნდები.

ფეხბურთი

1. მსაჯთა სასწავლო შეკრება. თბილისში. 6-15 თებერვალი. სის მიხედვით.

2. რაიონების, ქალაქების, ასს რესპუბლიკებისა და ოლქის პირველობები. აპრილი-ნოემბერი. მონაწილეობენ ფიზკულტურის კოლექტივების გუნდები.

3. საქართველოს სსრ პირველობა 3 ჯგუფში. გეგმის მიხედვით. აპრილი-ნოემბერი. სის მიხედვით.

4. სსრ კავშირის პირველობა „ა“ და „ბ“ კლასებში. გეგმის მიხედვით. აპრილი-ნოემბერი. მონაწილეობენ „ა“ და „ბ“ კლასების გუნდები.

5. მოზარდთა შეჯიბრებები რაიონებში, ქალაქებში, ასს რესპუბლიკებსა და ოლქში. ადგილებზე. მაისი-ივნისი. მონაწილეობენ ფიზკულტურის კოლექტივების გუნდები.

6. სსრ კავშირის თასის გათამაშება (წინასწარი. 1957-58 წ. წ.). ადგილებზე. მაისი-დეკემბერი. მონაწილეობენ ფიზკულტურის კოლექტივებისა და სპორტსაზოგადოებათა გუნდები.

7. მოზარდთა რესპუბლიკური შეჯიბრება 2 ჯგუფში. თბილისში. 21-30 ივნისი.

8. მოზარდთა საქავშირო შეჯიბრება. ზონები — როსტოვში, სარატოვში, ბრიანსკში, ჩკალოვში. 9-17 აგვისტო. ფინალი — კიევი. 18-28 აგვისტო. მონაწილეობს რესპუბლიკის ნაკრები გუნდი.

9. ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლების საქავშირო შეჯიბრება. მისსკში. 10-28 აგვისტო. მონაწილეობს ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლის გუნდი.

10. სოფლის ფეხბურთელთა რესპუბლიკური შეჯიბრება. გეგმის მიხედვით. აგვისტო-სექტემბერი. მონაწილეობენ რაიონების ნაკრები გუნდები.

11. სოფლის ფეხბურთელთა საქავშირო შეჯიბრება. ზონები — ტაშკენტში, პოლტავაში, პიატიგორსკში. 3-16 ოქტომბერი. ფინალი — ტაშკენტში. 18-26 ოქტომბერი. მონაწილეობს რესპუბლიკის ნაკრები გუნდი.

12. სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალი (1956-57 წ. წ.). გეგმის მიხედვით. სექტემბერი.

13. საქართველოს სსრ თასის გათამაშება. თბილისში. სექტემბერი.

14. სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელობის თასის გათამაშება. გეგმის მიხედვით. ნოემბერი-დეკემბერი. მონაწილეობენ ფიზკულტურის კოლექტივებისა და სპორტსაზოგადოებათა გუნდები.

ზადრაკი

1. ქალაქების, ასს რესპუბლიკებისა და ოლქის პირველობები. ადგილებზე. იანვარი. მონაწილეობენ უძლიერესნი.

2. სსრ კავშირის პირველობის ფინალი ვაჟთა შორის. მოსკოვში. 20 იანვრიდან 24 თებერვლამდე. მონაწილეობენ ნახევარფინალებში გამარჯვებულნი.

3. საქართველოს სსრ პირველობის ფინალი ვაჟთა შორის. თბილისში. 15 თებერვლიდან 15 მარტამდე. მონაწილეობენ ნახევარფინალებში გამარჯვებულნი.

4. სსრ კავშირის 25-ე პირველობა (ზონალური ტურნირი). თბილისში. 1-30 აპრილი.

5. საქართველოს სსრ პირველობის ფინალი ქალთა შორის. თბილისში. 1-25 მაისი. მონაწილეობენ სარაიონო და საქალაქო პირველობებში გამარჯვებულნი.

6. რესპუბლიკური შეჯიბრება ქაბუტებსა და

გოგონებს შორის (ნახევარფინალი). თბილისში. 19-30 მარტი. მონაწილეობენ უძლიერესნი.

7. რესპუბლიკური შეჯიბრება ქაბუტებსა და გოგონებს შორის (ფინალი). ბორჯომში. 25 ივნისიდან 10 ივლისამდე. მონაწილეობენ ნახევარფინალებში გამარჯვებულნი.

8. სსრ კავშირის პირველობის ნახევარფინალები ქალთა შორის. კუიბისეფსა და ტალინში. 5-29 ივლისი. მონაწილეობენ საქართველოს პირველობაში გამარჯვებულნი.

9. საქავშირო შეჯიბრება ქაბუტებსა და გოგონებს შორის. როსტოვში. 13 ივლისიდან 7 აგვისტომდე.

10. საქართველოს სსრ 1958 წლის პირველობის ნახევარფინალი ვაჟთა შორის. ფოთსა და გორში. 25 სექტემბრიდან 9 ოქტომბრამდე. მონაწილეობენ სარაიონო და საქალაქო ტურნირებში გამარჯვებულნი.

11. სსრ კავშირის პირველობის ნახევარფინალი ვაჟთა შორის. ლენინგრადსა და კიევი. 10 ნოემბრიდან 8 დეკემბრამდე. მონაწილეობენ ზონალურ ტურნირებში გამარჯვებულნი.

12. სსრ კავშირის პირველობის ფინალი ქალთა შორის. 16 ნოემბრიდან 16 დეკემბრამდე. მონაწილეობენ ნახევარფინალებში გამარჯვებულნი.


უაზი

1. რაიონების, ქალაქების, ასს რესპუბლიკებისა და ოლქის პირველობები. ადგილებზე. მარტი-აპრილი. მონაწილეობენ უძლიერესნი.

2. მოზარდთა რესპუბლიკური შეჯიბრება. თბილისში. 19-30 მარტი. სის მიხედვით.

3. მოზარდთა საქავშირო შეჯიბრება. ვინიცაში. 1-20 აგვისტო. განაცხადების მიხედვით.

4. საქართველოს სსრ პირველობა ვაჟთა შორის. ბათუმში. 1-15 ნოემბერი. მონაწილეობენ სარაიონო და საქალაქო ტურნირებში გამარჯვებულნი.



რამდენიმე თვის წინათ თბილისში ხელბურთზე საქალაქო ბუნდოვანი წარმოდგენა ჩქონდა. აქა-იქ იყვნენ სპორტსმენთა ძველი გვარდიის წარმომადგენლები, რომლებსაც ოდესღაც უნახავთ და უთამაშნათ კიდევ ეს საინტერესო თამაში.

ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის მოწვევით თბილისში ჩამოვიდა ხელბურთის ცნობილი სპეციალისტი, საბჭოთა კავშირის ხელბურთელთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ბ. კუდრიავცევი.

იგი ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონის წარმომადგენლებს უტარებს სემინარს, აცნობს ამ თამაშის თავისებურებას, წესებს, ხელბურთელთა აღზრდის მეთოდებს და სხვ.

ხელბურთი შეტანილ იქნა ფიზკულტურის ინსტიტუტის სასწავლო პროგრამაში და მას დათმობილი აქვს 28 საათი, ფიზკულტურის ინსტიტუტის ამ ინიციატივას მხარი უნდა დაუჭიროს თბილისის სხვა უმაღლესი სასწავლებლებისა და სპორტსაზოგადოებათა ხელმძღვანელებმაც.

თბილისისა და ქუთაისის გუნდების მონაწილეობით

ერთმა მონაწილემ ვერ მიიღო 9 ქულაანი შეფასება. პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენელმა დ. შელიამ მხოლოდ 7,5 ქულა დაიმსახურა, 0,5 ქულით უკეთესი შეფასება ჰქონდა ე. ალაშკოვას (ფიზკულტურის ინსტიტუტი).

ამას წინათ ხარკოვში გამართულ საქავშირო ჩემპიონატში თბილისელმა რ. პენკოვამ ოსტატობა მოიპოვა. მან თავისი სიძლიერე ამ შეჯიბრებაზეც დაამტკიცა, მაგრამ ამ სახეობაში ვერც მან მიიღო 9-ქულიანი შეფასება. მსაჯებმა მას მხოლოდ 8,65 ქულა მიაკუთვნეს.

საგნებით ვარჯიშში შელიამ 0,2 ქულით უკეთესი შედეგი აჩვენა, ვიდრე ალაშკოვამ (9,0), ხოლო პენკოვამ 9,5 ქულა მოაგროვა. პირველობის სამივე პრეტენდენტმა კვლავ მაღალი

უძლიერესებმა კვლავ მაღალ დონეზე ჩაატარეს ნებისმიერი ვარჯიშები როგორც საგნით, ისე უსაგნოთ. შელიამ 0,3 ქულით უკეთესი შედეგი აჩვენა, ვიდრე ალაშკოვამ. მაგრამ უსაგნოთ სავალდებულო ვარჯიშში დაკარგულმა ნახევარმა ქულამ მას მხოლოდ მესამე ადგილის მოპოვების საშუალება მისცა. მოაგროვა რა 53,65 ქულა, მას 0,35 ქულა დააკლდა ოსტატის ნორმამდე. მეორე ადგილზე გამოსულ ალაშკოვას შედეგია 53,8 ქულა.

რესპუბლიკის გასული წლის ჩემპიონმა რ. პენკოვამ ერთხელ კიდევ ცხადყო თავისი უპირატესობა. 55,6 ქულით გაიმეორა სპორტის ოსტატის შედეგი და ჩემპიონობა შეინარჩუნა. პირველთაორიგოსანთა შორის 11

ხარკოვი — თბილისი

გასული კვირის თბილისის ზამთრის საკურორტო უბანში ჩატარდა ხარკოვისა და თბილისის ახალგაზრდული სპორტსკოლების შეხვედრა ცურვაში. მატჩი დაიწყო 100 მ. ნებისმიერი სტილით ცურვაში კონკრეტულად „წინა“ სტილში დადგნენ ხარკოველი მწველთა და თბილისელი მორგუნეზორ სტუმარმა ძლიერ სტარტს ძლიერი ფინში დაამატა და ბარჯელებს დამატებითი ტანცია — 1.15,4. ქაბუტთა შორის ეს მანძილი ყველაზე სწრაფად გაცურა თბილისელმა ნ. მგელაძემ — 1.03,8. ხარკოველი კლიმენკო გამარჯვებულს 0,3 წამით ჩამორჩა.

400 მეტრზე გოგონათა შორის თბილისელმა მორგუნეზორმა საგრძნობლად გაუსწრო თავის მოწინააღმდეგეს და მანძილი 6.33,0 გაცურა. ხარკოველ ტურკოვს შედეგია 6.53,0. გ. რომანოვმა ძლიერ ხარკოველ ტოლსტოპოლიტს და პირველი შეეხო ფინში.

მეტად დაბალე გამომდგა გოგონათა შეხვედრა 200 მეტრზე ბრასში. სტუმრებმა გამოიყვანეს სავალდებულო მორგუნეზორ შირკა, თბილისის სპორტულ ღირსებას იცავდა რესპუბლიკის ჩემპიონი და რეკორდსმენი ამ მანძილზე ცურვაში, 14 წლის გოგონა ლ. კრილოვა, რომელმაც გამოარჯივა კიდევ.

ამ მანძილზე ვაჟთა შორის თბილისელმა გ. ბუკარევი 2.51,2 დაამთავრა დისტანცია და თავის გუნდს კიდევ ერთი პირველი ადგილი შეძინა. ხარკოველი სალკო მესამე ადგილზე გამოვიდა. დელფინით 100 მეტრზე გოგონათა შორის სტარტი აიღო ხარკოველმა ვერბიცკიამ, ვინაიდან თბილისელმა მას მოწინააღმდეგე ვერ გამოუყვანეს.

დელფინით 200 მეტრზე უძლიერესი კვლავ თბილისელი ნ. უმერენკო და ა. იურჩენკო აღმოჩნდნენ. ხარკოველი გულუხეი მესამე ადგილზე გამოვიდა.

100 მეტრზე ზურგზე ცურვაში თბილისელ გ. შველის ბადალი არ ჰყავდა. მან ხარკოველ ტურავლივას 15 წამით გაასწრო. ქაბუტთა შორის პირველი სამი ადგილი თბილისელებმა კამენსკომ, სოტნიკოვამ და კუდრიავცემ დაიასკუთრეს.

მეტად საინტერესოდ წარიმართა ამანთ-ცურვა 4x100 მ გოგონათა შორის. პირველ ეტაპზე დამარცხდა თბილისელი ქართველი შვილი, დემა ა. და ლ. მორგუნეზორებმა კიდევ უფრო გაზარდეს განსხვავება და ე. შველიამ ეს უპირატესობა ძლიერი ფინში დააგვირგვინა. მასპინძლებმა გაუსწრეს სტუმრებს 26 წამით.

პირველი წარიმართა შეხვედრა ვაჟთა შორის 4x200 მ: პირველ ეტაპზე თბილისელმა გ. რომანოვმა საგრძნობლად გაუსწრო ხარკოველ კლიმენკოს, მაგრამ მეორე ეტაპიდან ხარკოველთა უპირატესობა აშკარა გახდა. ყოველ ეტაპზე სულ უფრო და უფრო წინ მიიწვედნენ სტუმრები და 27 წამით უკან ჩამოიტოვეს მასპინძლები.

გულთბილ და დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა ეს საინტერესო შეხვედრა. გამარჯვებულნი თბილისის ახალგაზრდული სპორტსკოლის წარმომადგენლებმა. მონაწილეობადაც თითქმის ყველამ შეასრულა სათანადო ნორმატივით, მათ შორის დიდმა უმრავლესობამ II თანრიგისა.

ა. პარნოვი

28 დეკემბერს, თბილისში მოეწყო ხელბურთელთა საჩვენებელი შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ფიზკულტურისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტების სპორტსმენები და მწვრთნელთა შეკრების მონაწილენი.

სურათზე: სპორტის ოსტატი ბ. კუდრიავცევი ატარებს მეცადინეობას შეკრების მონაწილეებთან.

ფოტო ბ. ზარგარაინისა.